ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1188 2016 წლის 25 ოქტომბერი ქ.ლაგოდეხი

**გაზიფიცირებისათის გაზსადენის მშენებლობის ვარგისად აღიარების /ექსპლუატაციაში მიღების/ შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" 97-ე მუხლის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი1.**ვარგისად იქნას აღიარებული, ექსპლუატაციაში მიღებული, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის, სოფელ ბებურიანის, სოფელ მირკისეულის, სოფელ აბაშისწილის, სოფელ ბალთის და სოფელ ქალქვა-ნამესრალის გაზიფიცირებისათვის გაზსადენის მშენებლობა, რომლის საერთო სიგრძეა - 29,399 კმ, ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე - 28389,80 მ, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე - 27505,25 მ.

*/საფუძველი: ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 24 ოქტომბრის №2723 დასკვნა/.*

**მუხლი 2.** ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**მუხლი 3.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი: კარლო ჯამბურია

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## ზედამხედველობის სამსახური

2700 ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25 ტელ: (354) 22 30 20, ელ.ფოსტა: lag_gamgeoba@yahoo.com


N 134 „24" 10 2016 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ კარლო ჯამბურიას

განვიხილეთ, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორის წერილი N1/02-1046 07.10.2016წ, რომლითაც ითხოვს სოფ.ლელიანის, სოფ.ბებურიანის, სოფ.მირსკისეულის, სოფ.აბაშისწილის, სოფ.ბალთის და სოფ.ქალქვა-ნამესრალის გაზიფიცირებისათვის გაზსადენის მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებას.

აღნიშნულ ობიექტზე გაცემულია 2015 წლის 6 ივლისს მშენებლობის ნებართვა N000514, პროექტით წარმოდგენილი საერთო სიგრძეა 29,399კმ, ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე - 28389,80 მ, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე - 27505,25 მ. ობიექტის მშენებლობა დასრულებულია ნებართვით დადგენილ ვადებში სანებართვო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვით.

/საფუძველი: შ.პ.ს ,,ოპტიმალ გრუპ+"ს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა NIR_16-08-A038/.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში.

დასკვნა 1 ფურცლად თან ერთვის.

1188
25.10.

ზედამხედველობის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ვ. [signature] ვალერი ხუციშვილი

2723
10 2016

შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ

დასკვანა

24.10.2016წ

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორის წერილი N1/02-1046 07.10.2016წ, რომლითაც ითხოვს სოფ.ლელიანის, სოფ.ბებურიანის, სოფ.მირსკისეულის, სოფ.აბაშისწილის, სოფ.ბალთის და სოფ.ქალქვა-ნამესრალის გაზიფიცირებისათვის გაზსადენის მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებას.

აღნიშნულ ობიექტზე გაცემულია 2015 წლის 6 ივლისს მშენებლობის ნებართვა N000514, პროექტით წარმოდგენილი საერთო სიგრძეა 29,399კმ, ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე - 28389,80 მ, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე - 27505,25 მ. ობიექტის მშენებლობა დასრულებულია ნებართვით დადგენილ ვადებში სანებართვო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვით.

/საფუძველი: შ.პ.ს ,,ოპტიმალ გრუპ+"ს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა NIR_16-08-A038/.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ობიექტი მიჩნეულ იქნას ვარგისად ექსპლუატაციისათვის.

ზედამხედველობის სამსახურის

მთ.სპეციალისტები: დავით მერმანიშვილი

შალვა გოგოლაძე